
შვილობილი კომპანიების არაკონსოლიდირების არაარსებითობის შესახებ წერილი

თარიღი: 20 მარტი, 2026 წელი

კომპანია: შპს ადია (ს.ნ.:404571682)

აუდიტორული ფირმა: შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205228207; სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-344253)

I. წერილის მიზანი

აღნიშნული წერილი მომზადებულია შპს ადიას მენეჯმენტის მიერ და დადასტურებულია მისი აუდიტორის მიერ, რათა განმარტოს შვილობილი კომპანიების არაკონსოლიდირების საფუძველი და დაასაბუთოს მისი შესაბამისობა მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (შემდგომში „IFRS for SMEs“) მოთხოვნებთან, შპს ადიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

II. ზოგადი ინფორმაცია

შპს ადია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ საწარმოს, რომელიც ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

1. შპს ბი.აი.ჯი ინვესტმენტს (ს.ნ.: 404569702); და
2. შპს ვონდერნეტ ექსპრეს (ს.ნ.: 405555108).

შპს ადიას მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული შვილობილი კომპანიები არაარსებითია ჯგუფისთვის, რადგან ისინი ფაქტობრივად შეწყვეტილი საქმიანობის მქონე კომპანიები არიან, არ ახორციელებენ არსებით ოპერაციულ საქმიანობას და არ ფლობენ არსებით აქტივებს/ვალდებულებებს. შესაბამისად, მათ მიერ არ იქმნება შემოსავლები, ვალდებულებები ან სხვა ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე არსებით გავლენას მოახდენდა.

III. არგუმენტაცია IFRS for SMEs-ის მიხედვით

შპს ადიას მენეჯმენტის მიერ გამოყენებულია მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი („IFRS for SMEs“). კონსოლიდაციის მოთხოვნები რეგულირდება სექცია 9-ით, თუმცა კონსოლიდაციის გამოტოვების დასაშვებობა ეფუძნება სტანდარტის სექცია 2-ში (კონცეფციები და ძირითადი პრინციპები) მოცემულ არსებითობის (Materiality) ზოგად პრინციპს:


- არსებითობის პრინციპი: ინფორმაცია არსებითია და, მაშასადამე, შესაბამისია, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.
- მენეჯმენტის დასაბუთება: რადგან შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია არ იძლევა არსებითად განსხვავებულ ინფორმაციას და მათი ფინანსური გავლენა არაარსებითია, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი გამორიცხვა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებიდან დასაშვებია არსებითობის პრინციპის შესაბამისად.

IV. მენეჯმენტის შეფასება

მენეჯმენტის მოსაზრებით, შვილობილი კომპანიების კონსოლიდაციის გამოტოვება სრულად შეესაბამება IFRS for SMEs-ის ზოგად მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და არსებით წარმოდგენას.

V. აუდიტორის დადასტურება

აუდიტორული პროცესის ფარგლებში განვახორციელეთ მენეჯმენტის მიერ აღნიშნული შვილობილი კომპანიების არაარსებობის შესახებ შეფასების გადახედვა. ჩვენი პროფესიული შეფასებით, მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დასაბუთება გამართლებულია და შეესაბამება IFRS for SMEs-ის ზოგად არსებობის პრინციპებს. შესაბამისად, აღნიშნული შვილობილი კომპანიების არაკონსოლიდირება არ იწვევს ანგარიშგების სისწორესა და სამართლიან წარმოდგენაზე არსებით ზეგავლენას.

კომპანიის მენეჯმენტის სახელით:	აუდიტორული ფირმის სახელით:
	
ასატულა ივრამოვ დირექტორი შპს ადია 20 მარტი, 2026	თამილა ჩაგელიშვილი რეგისტრირებული აუდიტორი - SARAS-A-913906 შპს ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალთინგი 20 მარტი, 2026